№ 178 | 1877—1900 | № 178
ხუთშაბათი, 17 აგვისტო, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ხუთშაბათი, 17 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გ მავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სა მოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ბუღალტერია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფელ-წერა და წერა-გაკრულვი და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—17)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—15) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**.—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. ვ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—საფილისისა, კანისა და საშარდესი—11½—12½ საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მუშტაიდი, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## კ ა ნ ტ ო რ ა

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (15—4)

## ახალი ამბავი

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთებს გაუგონიათ, უმაღლესად დამტკიცებული ახალი საგერბო გადასახადი 1901 წ. 1-ლ იანვრიდგან იქმნება შემოღებულიო.

*** 1901 წლ. 1-ლ იანვრიდგან კავკასიისა და ციმბირის ქალაქებში ბინებზედ გადასახადი იქმნება შემოღებული, რომელიც 4 სხვა-და-სხვა რიგობად იქმნება დაყოფილი იმის-და მიხედვით, თუ ვინ რამდენს იხდის წლიურად სახლის პატრონის სასარგებლოდ.

*** როგორც მოგეხსენებათ, პეტერბურგის უნივერსიტეტმაც გაუღო კარი სასულიერო სემინარიებში სწავლა-დამთავრებულებსა და მსურველთ აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზედ შესვლა შეუძლიანთ. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, აღნიშნულს ფაკულტეტზედ შემსვლელ სემინარიელთათვის გამოცდა 26 აგვისტოსათვის თურმე დანიშნული. დღემდის მხოლოდ ოცი კაცია მთხოვნელიო. ლექციები 1-ლ სექტემბერს იწყება.

*** გუშინ-წინ, 15 აგვისტოს, სიონის საკათედრო ტაძრის დღეობას, მისი უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ლეონიდი ბრძანდებოდა მწირველი სამღვდელოებითურთ; წირვის შემდეგ სამადლობელი პარაკლისი იქმნა გარდახდილი.

*** მიწის მზომელთა ტფილისის სასწავლებლის მოწაფენი უკვე დაბრუნდნენ ახალქალაქიდგან, სადაც მთელს ზაფხულს პრაქტიკულად მუშაობდნენ.

*** ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის მოწაფენი სურამიდგან ტფილისს 20 აგვისტოს დაბრუნდებიან.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის შუამდგომლობისა თანახმად, კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს ნება დაურთავს, რომ თიანეთის მაზრის მთიან ადგილებში ტყით სარგებლობის წესი ისევ მომავალ წლამდე ძველივე დარჩეს, ე. ი. ის, რომელიც ტყეების ხაზინაში გადაცემამდის ჰმოქმედებდა.

*** კვირას, 13 აგვისტოს, ტფილისში ჩამოვიდა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი აგრონომი მიშენკო, რომელიც ბაღოსნობისა და სვიის მოყვანის სპეციალისტად ითვლება. 14 აგვისტოს მიშენკომ

## ფელეტონი

### ო ლ ი მ პ ზ ე დ

(ლეგენდა ჰენრიკ სენკევიჩისა)

გაზაფხულის ღამეა, წყნარი, ცვარიანი, სუნნელოვანი!

ბადრი მთვარე მაღლა მისცურავს და ოლიმპს დაჰნათის; მისის ფერადის სხივებით გაბრწყინვალებულია თოვლიანი მთის მწვერვალი.

ძირს, ტემპეის ხევში, ხშირი, მშვენიერი ბუჩქნარი მოსჩანს; იქიდგან მოისმის ნაზი, მტკბარი გალობა. ეს საამური ხმები, ხან ნაკადულსავით მოჩუხჩუხე და ხან სალამურსავით მოწკრიალე, ავსებს და ატკბობს არე-მარეს.

წამ-და-უწუმ სიმღერა მიწყნარდება და მაშინ ისეთი სიჩუმე სდგება, რომ ისმის, როგორ სდნება თოვლი მთაზედ მაისის სითბოსაგან.

საოცარი ღამეა, გაზაფხულით და ამბროსით შეზავებული!

* * *

ასეთს ღამეში მოვიდნენ მოციქულნი პეტრე და პავლე და დასხდნენ მთის კლდეზედ, რომ გაასამართლონ ძველი ღმერთები. ნათელი გვირგვინები ამკობდა მოციქულთა თავებს, ასხივოსნებდა მათს ჭაღარა თმებს, შეჭმუხვნილს წარბებსა და მტკიცე გამომეტყველებას. ცოტა ქვემოდ ხშირ წიფელთა ჩრდილში თავი მოეყარათ მივიწყებულ-მიგდებულ ღმერთებს და გულის ფანცქალით ელოდნენ აუცილებელს განაჩენს.

* * *

პეტრემ ხელი გაიქნია. ამ ნიშანზედ კრებიდგან პირველად გამოვიდა ზევსი—ღრუბელთ-მდენელი, ჯერ ისევ ძლიერი და უზარმაზარი, თითქოს ფიდიუსის მიერ მარმარილოსაგან გამოქანდაკებულიაო, მაგრამ უკვე მოხრილი და მოხუცებული. ბებერი არწივი, ფრთა-მოტეხილი, მის ფერხთა ქვეშ მიღოღავდა, და ლურჯი, ადგილ-ადგილ დაჟანგებული მიმქრალი ელვები გაშეშებულ ხელთ ეპყრა ამ ოდესღაც ცისა და ქვეყნის მამათ-მთავარს.

მაგრამ როცა წარსდგა იგი მოციქულთა წინაშე, ძველის ძლევა-მოსილობის გრძნობამ აღაგზნო მისი გმირული გულ-მკერდი. მან აიღო ჩაფიქრებული თავი და შეაჩერდა მოხუც გალილიელ მეთევზეს ამპარტავნებითა და მრისხანებით აღსავსე და მოელვარე თვალებით.

აკანკალდა მაშინვე მთელი ოლიმპი, ნახევი თავისის მეუფის შიშსა. შეირყა ელვა ნაკრავსავით წიფლნარი, მისდუმდა ბულბულთა გალობა და თოვლ ზევით მიმომცურავი მთვარე არაქნეას ტილოსავით გათეთრდა. უკანასკნელად დაიჩხავლა არწივმა, და ელვანი, თითქოს წინანდელის ძალით გაცოცხლებულნი, უცებ გაბრწყინდნენ, დასრიალდნენ და დაიკლაკნენ შხამიან გველებსავით ძლიერის მეუფის ფერხთა ქვეშ.

მაგრამ პეტრემ დააჭირა ფეხი ცეცხლის-მფრქვეველ ისრებს, ჩაჰფლო მიწაში, მერე მიუბრუნდა ღრუბელთ-მდენელს და უთხრა:

— იყავ წყეულ, გაჰქრი საუკუნოდ!

ზევსი ერთბაშად დაჩუმდა, წამსვე ფერი დაეკარგა, ძლივს წარმოსთქვა გალურჯებულის ბაგენით: „ანანკეო!“ და უფსკრულში ჩაიღუპა.

* * *

მეორედ წარუდგა მოციქულებს შავ-თმიანი პოსეიდონი ჩაბნელებულის თვალებით და დაჩლუნგებულის სამ-თითიანი ხელში.

იმასაც უთხრა პეტრემ:

— შენ ვერ აღელვებ და ვერც დაამშვიდებ ზღვას, ვერ მიიყვან წყნარ ნავთ-საყუდრამდე ზღვის პირად გაფანტულ გემებს. ამიერიდგან მათ ზღვაზედ მცურავთა ვარსკვლავი გაუძღვება.

ეს გაიგონა თუ არა პოსეიდონმა, სიმწარისაგან ერთი დაიყვირა და დადნა, გაიფანტა ლურჯ ნისლსავით.

* * *

შემდეგ წარსდგა წმინდა მამათა წინაშე ვერცხლის მშვილდოსანი აპოლონი სალამურით ხელში და მის უკან მიცქრიალებდა ცხრა მუზა, ცხრა თეთრის სვეტის მსგავსი. შეშინებული მუზები გაჩერდნენ გაქვავებულსავით სამსჯავროს წინ, იმედ-გადაწყვეტილნი. სხივოსანმა მიჰმართა პავლეს და დაიწყო ლაპარაკი უცხო მუსიკასავით:

— ნუ მკლავ, არამედ დამიფარე! თორემ იძულებული იქნები ისევ აღმადგინო მკვდრეთით! მე ვარ ყვავილი ადამიანის სულისა, მე ვარ მისი სიხარული, სინათლე, ღვთისად მისწრაფება, შენ უკეთ უწყი, მეუფეო, რომ ქვეყნიური ღაღადისი არ მიაღწევს ზეცამდის, თუ ფრთებს მოსჭრით. გაფიცებთ, წმინდანებო, ნუ მოჰკლავთ სიმღერას!

დადგა წამი სიჩუმისა. პეტრემ აღაპყრო თვალნი თვისნი ვარსკვლავთა მიმართ, პავლე დაეყრდნო ხელებით მახვილის ტარს, დაადო ზედ თავი და ღრმა ფიქრში გაერთო. ბოლოს მაღლა აიღო თავი, წყნარად გამოსახა პირჯვარი აპოლონს სხივოსანს თავზედ და ჰრქვა:

— იცოცხლე, სიმღერაო!

აპოლონი სალამურიანად ჩამოჯდა მოციქულის ფეხებთან. ღამე უცებ განათდა, ყვავილთ უფრო მოჰფინეს სურნელოვნება, უმხიარულესად დაიჩუხჩუხეს ნაკადულებმა. მუზები შეჯგუფდნენ თეთრთ გედე-

ყარაიაზის სანიმუშო პლანტაცია დაათვალიერა; დაათვალიერა აგრეთვე ტფილისში ბოტანიკური ბაღი, ტფილისის საბაღოსნო სკოლა და ადგილობრივი ლუდის ქარხნები. მიშენკოს აზრადა აქვს გამოიკვლიოს—რა და რა ჯურ ქერისას აკეთებენ ლუდს, რადგანაც ყველა ქერს ერთნაირი ლუდი არ გამოჰყავს. ამ მხრივ მიშენკოს გამოკვლევას ადგილობრივ მემამულეთა და მექარხნეთათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, რადგანაც პირველნი გაიგებენ რა ჯიშის ქერი სთესონ, ხოლო მეორენი—რომელი ქერი იყიდონ ლუდისათვის.

*** როგორც ალაიანიდგან იუწყებიან, ადგილობრივი ამერიკულ ვაზების სახაზინო სანერგე 11 აგვისტოს კოკის-პირული წვიმას დიდად დაუზარალებია. ახლა მთელი სანერგე ქვიშითა და ქვით არის სავსე და წალეკილიო.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა სვეჩინმა ქალაქ გორის მოურავს წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ გვაცნობეთ სია იმ ქალაქის მცხოვრებთა, რომელთაც დიდი ხანია გადასახადები არ შემოუტანიათ, რადგანაც ამ თანხამ შემოუტანელ გადასახადისამ უკვე 16 ათას მანეთამდე მიაღწიაო.

*** როგორც ეჩმიაძინის მაზრიდგან იუწყებიან, იქ ამ ბოლოს დროს ორი ცოფიანი აფთარი გაჩენილა, რომლებიც მცხოვრებთ მოსვენებას თურმე არ აძლევენ. დღისით თუ ღამით აქ ბავშვს იტაცებენ, იქ დიდებს ახჩობენ და სხვ., ასე რომ 2—3 წამში ადამიანს სიცოცხლეს უსპობენ, თუ არავინ მიეშველაო.

*** გზათა მინისტრის განკარგულებით, მატარებლების საზამთრო მიმოსვლის წეს-რიგი 15 ოქტომბრიდგან დაიწყება.

*** როგორც ზაქათალიდგან იწერებიან, იქითკენ წელს როგორც ვენახის მოსავალს, ისე ხეხილს ცუდი პირი თურმე უჩანს. ბლომად თურმე მხოლოდ თხილის ბაღებს ასხია.

*** როგორც ტირძნისის მეორე კლასიანი სკოლის საბჭო აცხადებს, მისაღები და დამატებითი გამოცდა ტირძნისის სკოლაში 4 ენკენისთვეს თურმე დაიწყება; თხოვნები სკოლის საბჭოს სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს არა უგვიანეს პირველ ენკენისთვისაო.

*** ჟურნალ „პრავო"-ში დაბეჭდილია სენატის შემდეგი გარდაწყვეტილება: „ბათუმის ქალაქის მოურავის საჩივრის გამო ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო სამართველოს დადგენილებაზედ სენატმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ბათუმის საბჭოს მიერ ყოველ-წლიურად გადადებული ხარჯი 2000 მანეთი ტფილისში განზრახულ პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ ადგილობრივ ბათუმის საჭიროებისათვის გაღებულს ხარჯს არ მიეწერებაო", და ამიტომ ხსენებული საჩივარი უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

*** გუშინ 16 აგვისტოს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებამ განიხილა საქმე ბოლნისის მე-6 ნაწილში მცხოვრების ოქსანუზ აირაპეტას ძის გაბრიელოვისა, რომელსაც თავისის 10 წლის ქალიშვილის სოფიო გაბრიელოვის მუდამ ცემა და ტანჯვა ბრალდებოდა; ოქსანუზ გაბრიელოვი, თანახმად სასჯელთა დებულების მე-1489 და 1492 მუხ., პასუხის გებაში იყო მიცემული. ოლქის სასამართლომ, ბ-ნ ბოლდირევის თავჯდომარეობით, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ არ იცნო ბრალდებული და გაამართლა იგი.

*** ს. ზემო-ნიქოზი (გორის მაზრა). მოკრიალებულ ცის გუმბათზედ 9 აგვისტოს, ნაშუადღევს, შავი, ლეგა-ღრუბელი გამოჩნდა. გლეხებმა მაინც თავისი არ დაიშალეს და გალოზედ ზურის ლეწვას მეუხათად მიჰყვეს ხელი. პატარა ხანს უკან ღრუბლმა მოკრიალებული ცის გუმბათი შავი სუდარით შემოსა. ღრუბლები აირივნენ, ასტყდა ჭექა-ქუხილი და დაუშვა წვიმა. წვიმა კოკის-პირულად ასხამდა. გლეხებმა მაინც ანებეს თავი ლეწვასა და დაუწყეს შეხვეტა. მაგრამ ამაოდ: წვიმის ნაკადულებმა გალეწილი ჭირნახული მთლად წაიღო. ესტუმრა აგრეთვე დაბალ-კარებიან სახლებსა და შინაური წვრილ-ფეხობა მრავლად დაახრჩო; არც ვენახებსა და სიმინდებს დააყარა ხეირი, მთლად წალეკა. როგორც ამბობენ, ზარალი თურმე დიდია. ასეთივე საქმე დამართა სოფლებს: ზემო ხვითს, ქვემო ხვითსა და სხვ. მაგრამ ამ უბედურებას ზედ საზარელი უბედურება კიდევ სხვა დაერთო: მოხუცს იოანე მჭედლიძეს მეხი დაეცა და ამ სოფლებს გამოასალმა.

—

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის" მე-177 №-ის ფელეტონში („წერ. ინგლისიდგან") მე-7 სვეტზედ შეცდომით დაბეჭდილია: „ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, საზოგადო ბიუჯეტიდგან მისცემოდა შემწეობა იმ სკოლებს, რომლებსაც სხვა-და-სხვა ეკლესიის სამღვდელოება ინახავს". უნდა იყოს: „ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, საზოგადო ბიუჯეტიდგან არ მისცემოდა შემწეობა" და სხვა.

## ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

1 აგვისტო

თავმჯდომარე. განვაგრძოთ ბაასი მეხანიკურ დაღმართების გაკეთების შესახებ. გუშინ ბ-ნმა ემერიკმა სთქვა, რომ მავთულებით გაკეთებული გზები არ ივარგებსო. ინჟინერი ბ-ნი მიხაილოვი გაგვაცნობს დღეს პროფესორ ტიმეს აზრს ამ გზების შესახებ. ხსენებულის პროფესორის აზრს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ, ვინაიდგან იგი გამოჩენილი სწავლულია და ამ საქმეში განვითარებულია. ბ-ნმა მიხაილოვმა წაიკითხა ხსენებულის პროფესორის აზრი, რომელიც დაბეჭდილია სამთო ჟურნალში. იგი უპირატესობას აძლევს ამ გვარს გზებს სხვებთან შედარებით.

ცეიტლინი ს. გ. (სამთო ინჟინერი). ცხოველი ძალის მაგიერ რომ მეხანიკური ვიქონიოთ, ამის წინააღმდეგი არავინ უნდა იყოს; ეს ყველასთვის ცხადია. მაგრამ ამ რთულის საკითხის გარდაწყვეტის დროს ნუ დავივიწყებთ ადგილობრივს ტოპოგრაფიულს მდებარეობას, მდებარეობა ამ ადგილებისა საფუძვლიანად უნდა გვქონდეს შესწავლილი, რომ ან ერთს გვარ გზას მივცეთ უპირატესობა ან მეორეს. თუ ქიათურის ხეობას დავუკვირდებით, მე ვგონებ, უმჯობესი იქნება იქ გაიმართოს ავტომატიური დაღმართები. თუმცა ეს უკანასკნელნი უფრო გრძელი იქნებიან, მაგრამ სამაგიეროდ უფრო გამძლენი იქნებიან; ხარჯიც მათს გაკეთებას ნაკლები მოუნდება და სხვა პირობებიც უფრო ხელს გვიწყობენ მათის სასარგებლოდ. რაიცა შეეხება ელექტრონით განათებას, ამის შესახებ აი რას მოგახსენებთ: იგი აუცილებელი საჭიროა იქ, სადაც მადნებში არსებობს гремучій газъ-ი, ხოლო ჩვენს მადნებში ეს გაზი სრულებით არ არის. კვამლი მართალია დგება, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ არ იციან ლამპრების ხმარება. ელექტრონით განათება ჯერ-ჯერობით საჭირო არ არის, ჩემის აზრით. ხოლო ჰაერის გასაწმენდად საჭიროა გვირაბები ისე მოეწყოს, რომ მუდამ ჰაერის მოძრაობა იყოს იქ და განუწყვეტლივ იცვლებოდეს იგი.

მოდებაძე კარ. ამ საკითხმა გამოიწვია ჩვენ შორის უთანხმოება. ჩვენ სპეციალისტები არა ვართ, რომ იგი ავწონ-დავწონოთ და ჩვენდა სასარგებლოდ გადავწყვიტოთ. მე ვურჩევ კრებას, თითონ ნუ იკისრებს ამ დიდის საქმის გაკეთებას, რომელსაც შეუძლიან ბევრი გვაზარალოს. თუ ეს საქმეები შემოსავლიანია, კერძო კაცებმა იკისრონ მისი გაკეთება; შემდეგ ჩვენ გამოვისყიდოთ.

წულუკიძე თ. პ. გ. საბჭოს არ გარდაუწყვეტია, რომ თითონ იკისროს მეხანიკური გზების გაკეთება ან ელექტრონით განათება. მდიდარს მწარმოებელს აქვს საშუალება მეხანიკური გზები გაიმართოს და ამით გაიადვილოს მადნის წარმოება, იმას შეუძლიან ღარიბი მწარმოებელი დაჩაგროს და წარმოებაზედ ხელი აალებინოს; ხოლო თუ ეს გზები საზოგადო კუთვნილება იქნება, მაშინ ღარიბსაც გაუადვილდება საქმის წარმოება.

ქვარიანი ს. ა. გაევროპიელება არის, რასაკვირველია, მეხანიკური გზების გაკეთება და ელექტრონით განათება, მაგრამ ამით ვინ ისარგებლებს? ცხადია ევროპიელნი ფულის პატრონნი, ისინი დაგვეცემიან კალიასავით, ყველა მადნებს ისინი შეისყიდიან და ჩვენ რიყეზე დაგვსხამენ. ამ საკითხის გარდაწყვეტა ჩვენთვის ჯერ ადრეა. დაბეჭდეთ ეგ პროექტი ქართულსა და რუსულს ენაზედ, რომ ყველას შეეძლოს მისი გაცნობა და შემდეგ ვიქონიოთ მასზედ მსჯელობა.

თ. ი. ნიჟარაძე ურჩევს საზოგადოებას, პროექტის სისრულეში მოყვანა საბჭოს მიენდოს.

წულუკიძე თ. პ. გ. ბ-ნმა ქვარიანმა თავისი მსჯელობა უნდა დაამყაროს ფაქტებზე და არა თეორიულ მოსაზრებაზედ. როცა ტარიფი შემცირდა, შავი-ქვის ფასმა საქვეყნო ბაზარზედ აიწია და არა დაიწია, ამით ჩვენ ვისარგებლეთ და არა უცხოქვეყნის ვაჭრებმა.

ქვარიანი ს. ა. მე მაკვირვებს თ. წულუკიძის შეხედულება: იმას არა სცოდნია ეკონომიური შეურყეველი კანონი, რომ, როცა წარმოება საქონლისა იაფდება, ფასი ამ საქონლისა მცირდება.

ემერიკ გ. გ. ტყუილი შიშია, ვითომც თუ კერძო კაცებმა გააუკეთესეს წარმოების საშუალებანი, ეს დაჰღუპავს ღარიბ მწარმოებელს. აი, მაგალითი თვალ-წინა გვაქვს: ბ-ნმა პანასიუმ კარგა ხანია გამართა გზები, მაგრამ ამით ზარალი არავის არ მოჰსვლია. ერთად-ერთი სახსარი იმისი, რომ საქვეყნო ბაზარზედ ფეხი მოვიკიდოთ, ის იქნება, რომ ტეხნიკური გაუმჯობესებანი შემოვიღოთ და წარმოება გავაიაფოთ. ამით წვრილი მწარმოებელი ზარალს არ ნახავს.

თავმჯდომარე. ამ საკითხის გარდაწყვეტა გადავდე ვექილობების შემოწმებამდის.

საკამათო საგნად თავმჯდომარე აცხადებს პროგრამმის მე-19 მუხლს, ე. ი. „შავი-ქვის გამგზავნელებს როგორ დაენიშნოთ ბაქნები და სასურველია თუ არა ამ საგანზედ ეხლანდელი წეს-რიგი დარჩეს ძალაში; დარჩეს აგრეთვე საფუძველი და წესრიგი იმისა, თუ შავი ქვის მრეწველებს როგორ დაენიშნოთ მადნის გადასატანად დანიშნული ვაგონები".

მ. ა. კარპოვი. (რკინის გზის გამ. წარმომადგენელი) კითხულობს მოხსენებას ბაქნების განაწილების შესახებ. წინად,—სთქვა მან,—ბაქნებს ვაძლევდით ყველას, ვინცა თხოულობდა; შემდეგ-კი მოვუსპეთ ეს უფლება და მივეცით მხოლოდ იმას, ვისაც სამთო გამგეობიდგან ნება-რთვა ჰქონდა აღებული შავი-ქვის საწარმოებლად. თხოვნები ბაქნის მისაღებად მრავალი მოდიოდა; თხოვნა შემოჰქონდა მამას, ძმას, დედას, ცოლს და სხ. ამ გვარად ერთის წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ 320 თხოვნა. მიიღებდა თუ არა მათხოვნელი ბაქანს, უეჭველად მიჰყიდდა სხვას, ასე რომ ბაქნის გასყიდვა ზოგმა ხელობად გადააქცია და საჟენ ბაქანს 100 მან. ჰყიდდა. შემდეგ რკინის გზის გამგეობამ გამოსცა წესი, თუ ვის მისცემოდა ბაქანი. სამას მთხოვნელისაგან უფლება ჰქონდა ბაქნის მიღებისა მხოლოდ 42-ს, რომელთაც კიდეც მიიღეს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბევრმა თავისის ნებით დაიჭირა ბაქანი და აქამდის არ ანთავისუფლეს, თუმცა რამდენჯერმე ჰქონდა გამგეობისაგან ნაბძანები, რომ გაენთავისუფლებინა.

ბელოუსოვი. აწ არსებულის წესრიგით ბაქნებით სარგებლობენ მდიდარი მწარმოებელნი. ჩემის აზრით, კარგი იქმნება შეძლებულს მწარმოებელს მიეცეს 68 ოთხ-კუთხი საჟენი და მცირე მწარმოებელს 25.

თავმჯდომარე. ვინ ჩაითვლება მსხვილ მწარმოებლად და ვინ მცირედად?

ბელოუსოვი. მსხვილი მწარმოებელი ის არის, ვისაც მადანი აქვს და საზღვარ-გარეთ ჰგზავნის, მცირე ი. არის, ვინც მადანს მიწიდგან იღებს და იქვე ჰყიდის.

წულუკიძე თ. პ. გ. ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ის წესები, რომელნიც ბაქნების შესახებ შევიმუშავეთ პირველ მორიგს კრებაზედ, აქამდის არ დამტკიცებულა.

ემერიკ გ. გ. რომ სიმართლე დაცულ იქმნეს, უმჯობესი იქმნება ასე გავანაწილოთ: ექსპორტერებს თვითოეულ 5000 ფუთ მადანში მიეცეს ერთი ოთხ-კუთხი საჟენი, ხოლო მადნის ამომღებს (добывателю) 3000 ფ. ამდენივე საჟენი.

ჭასვლიძე ი. თ. მე იმ აზრისა ვარ რომ ექსპორტერს ხელი არ უნდა ჰქონდეს ქიათურაში. ის წამლებია ძადნებისა, ბაქანიც ფოთში უნდა იქონიოს და არა ქიათურას. ქიათურაში ბაქანი უნდა მიეცეს მხოლოდ

---

ბის გუნდსავით და ათრთოლებულის ხმებით წყნარად დაჰმღერეს საუცხოვო, ოლიმპზედ მანამდე არ-გაგონილი საგალობლები.

„შენს მფარველობის ქვეშ მოვისწრაფით, წმინდაო ღვთის მშობელო...

„ნუ შერისხავ ლოცვასა ჩვენსა,

„არამედ გვიხსენ ჩვენ ყოვლისა ბიწისაგან.

„ჰოი, დედაო ჩვენო!..

ასე გალობენ ისინი, ზეცად თვალ აპყრობილნი, ვითარცა თეთრად მოსილი წმიდა მონაზონები...

. . . . . . . . . . . . .

გაიარეს სხვა ღმერთებმაც; გაიქროლა ვაკხის ფერხულმა, ველურმა, თავ-გასულმა, სუროთი და ყურძნით შემკულმა, ზურნისა და საზანდარის წრიპინით. გაიქროლა მან საზარელის ყვირილითა და უძირო ჯურღმულში გაჰქანდა.

* *

შემდეგ მოციქულთა წინაშე წარსდგა ახალი ღვთაება, ამაყი, ამპარტავანი; მან არ მოუცადა არც მათს გამოკითხვას, არც მათს განაჩენს და სიძულილის ღიმილით წარმოთქვა:

— მე გახლავართ ათინა-პალადა! სიცოცხლეს-კი არა გთხოვთ—იგი მხოლოდ სიცრუეა. მისმენდა და პატივსა მცემდა ოდისმე, ისიც მაშინ, როცა დაჰბერდა; მისმენდა ტელემაკი, ვიდრე ნიკაპი ბუმბლით არ დაეფარა. უკვდავება არც ქვენ შეგიძლიანთ დამიბრუნოთ; ამის მაგივრად მე თითონ მოგახსენებთ, რომ მე ვყოფილვარ მხოლოდ ცალიერი ლანდი და ამადვე დავრჩები საუკუნოდ.

* *

ბოლოს ჯერი დადგა იმისაც, იმ უმშვენიერესისა და უპატივცემულესისა! მიუახლოვდა იგი მომხიბლავის სიტკბოებით და თვალ-ცრემლიანი; გული უფანცქალებდა ბროლის მკერდში, როგორც მახეში გაბმულ ჩიტსა, ბაგენი უთრთოდა, როგორც ბავშვსა, რომელსაც სასტიკად დასჯისა ეშინიან. იგი ჩაუვარდა ფერხთ ქვეშ წმიდა მამათა და კრძალვითა და მორჩილებით ევედრებოდა:

ცოდვილი ვარ, დამნაშავე ვარ. გარნა ადამიანის ბედნიერებას მე შევადგენ! შემიწყალეთ, მაპატიეთ, განა ადამიანთ ერთად-ერთი სიამე ჩემს გარდა არის-ღა რამე?!.

— შიშმა და ტირილმა ხმა ჩაუწყვიტა; პეტრე უყურებდა სიბრალულით და დაადო თვისი მართლ-მსაჯული მარჯვენა მის ოქროს ფერ თმებსა; პავლე-კი დაიხარა და მოსწყვიტა მინდვრის თეთრი ია, შეეხო ყვავილით ქალ-ღმერთას და უთხრა:

— ამიერიდგან წმიდა იყავ, ვითარცა ეს ია; იცხოვრე კაცთა ბედნიერებად!

ვარდის ფერმა დილის განთიადმა გამოიჭვრიტა ხევიდგან; ბულბულები დადუმდნენ და მათ ნაცვლად იადონებმა, მერცხლებმა, შოშიებმა გამოჰყვეს ნამძინარევი თავები მოკეცილ ფრთებიდგან, დაიფთხრიალეს და დაიწყეს ოდნავ გასაგონის ხმით განმეორება: „ნათელი, ნათელი!"

დედამიწამ პირზედ ღიმილით გაიღვიძა და ჰხარობდა, რომ არ წაართვეს არც სიმღერა და არც ბედნიერება...

მ. გობეჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადნის ამომღებს. (ხმები: მართალია, მართალი!)

ქვარიანი. ს. ა. სასურველია საბჭოს შეხედულება მოვისმინოთ!

გ. ფ. ზდანოვიჩი. საბჭოს ჰსურს მოისმინოს ქვარიანის შეხედულება.

ქვარიანი ს. ა. ეტყობა, ბ-ნი ზდანოვიჩი არ კისრულობს იბაასოს იმ საგნის შესახებ, რომლითაც დაინტერესებულია შავი-ქვის მრეწველთა უმრავლესობა. დღევანდლამდის საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ წვრილი მრეწველნი მოკლებულნი ყოფილიყვნენ ბაქნებს. მართალია ზოგიერთს მათგანს ჰქონია ბაქანი, მაგრამ იძულებული გამხდარა მადანი ბაქნიანად გაეყიდნა. ახლა ჭიათურაში არსებობს ოთხი კატეგორია მრეწველთა: 1) ნამდვილი ექსპორტერები, 2) ექსპორტერი—მადნის ამომღები, 3) ჩარჩები და 4) ნამდვილი ამომღები. წვრილი მრეწველნი იძულებულნი არიან ფუთი შავი-ქვა ჭიათურის სადგურზედ გაჰყიდონ 6—8 კაპ. ამ ფუთ შავ-ქვას მსხვილი მრეწველი ჰყიდის ფოთში 23 კაპ. ამ გვარად, მდიდარ მრეწველს ფუთზედ 5—7 კაპეიკი მოგება რჩება, რაიცა შეადგენს საზოგადოდ 2 მილიონ მანეთს. ეს ამოდენა ფული მიდის სულ შეძლებულ მრეწველის ჯიბეში. რომ ეს უსამართლობა თავიდგან ავიცილოთ, შავი ქვის მრეწველთა ერთმა ჯგუფმა შეადგინა პროექტი და მე მთხოვა წამეკითხა საზოგადო კრებაში.

კითხულობს ამ პროექტს.

ემერიკ გ. გ. (შეძლებული მრეწველი). ეს პროექტი ჩემთვის ძალიან ხელ-საყრელია, მაგრამ მე მაინც არ ვეთანხმები მისს დედა აზრს, რადგან იგი წინააღმდეგია აწ არსებულის რკინის გზის კანონდებულებისა. რკინის გზამ არ იცის არც მდიდარი გამგზავნელი, არც ღარიბი; ის იცნობს მხოლოდ გამგზავნელს.

ქლენტი გ. წვრილი მრეწველნი ვუგზავნიდით ექსპორტერებს ვალში ბაქნებს, ჩვენ იმათ არ ვასყიდებდით. მაგრამ იმათ ისარგებლეს ამ გირაოთი, ჩაიგდეს ხელში და აღარ გვიბრუნებენ. ჩვენ ახლა ვშუამდგომლობთ კრების წინაშე, დაგვიბრუნდეს ისევ ბაქნები; თუ ეს არ მოხერხდება, მივანდოთ კომიტეტს, რომ რამე გვიშველოს ამ მხრივ.

დორთქიფანიძე გ. ბ. ბაქნების განწეს-რიგების შესახებ აქ ბაასი ვერავითარ დასკვნამდის ვერ მიგვიყვანს. ასეთს დიდ კრებაში წეს-რიგის შედგენა შეუძლებელია. კომისია უნდა ამოვარჩიოთ და ეს საქმე იმას მივანდოთ.

გ. ფ. ზდანოვიჩი. მე არ შევეხები ამ საგნის არსებითს მხარეს; მე მინდა განვმარტო ბ-ნ ქლენტის აზრი. წვრილი მრეწველნი რომ შავ ქვას ჰყიდიან მსხვილ მწარმოებლებზედ, ბაქანსაც აძლევენ პირობით იმ დრომდის, ვიდრე მწარმოებელი გაიტანდეს ამ ქვას. მსხვილი მრეწველნი სარგებლობენ ამ პირობით და მალე არ გააქვთ მადანი და ბაქანს არ ათავისუფლებენ.

თ. ნიჟარაძე ი. რკინის გზა ფიქრობს სად. ჭიათურასთან დარკვეთის გზაზედ ბაქნები გააკეთოს. აგერ ათხი წელიწადია ვუცდით, მაგრამ არაფერი გვეშველა; დროებით ბაქანი მაინც გაგვიკეთონ.

ჩვენ ოც-და-ათმა მრეწველმა შევიტანეთ საბჭოში თხოვნა, რომ ცოტაოდენი შემწეობა აღმოეჩინოთ ფულით რკინის გზას, რომ ბაქნების დათვება დააჩქაროს.

გ. ფ. ზდანოვიჩი. მე მომმართა თხოვნით 80 მრეწველმა, რომ ახალი ბაქნის დარიგება ჩქარა მომხდარიყო. ამის შესახებ საუბარი მქონდა რკინის გზის წარმომადგენლებთან და იმათის აზრით საქმე მალე დაბოლოვდება.

სოლოვიოვი ა. ზ. 320 საჟენი კიდევ მოემატება ბაქნებს. ყველას თხოვნა იქნება ასრულებული. რკინის გზის სურვილი ის არის, რომ სამართლიანად იყოს ბაქნები დარიგებული. მე ვსთხოვ რკინის გზის გამგეობის უფროსს, რომ მიეცეს ბაქანი იმათაც, რომელთაც წინად ჰქონდათ და ახლა აღარ აქვთ.

ბაქრაძე გ. დ. ქვარიანის პროექტში სხვა მრავალ უხერხულობათა შორის არის ერთი მოუფიქრებლობაც: ბაქნის სიდიდეს იგი საზღვრავს იმ ზომით, თუ წელიწადში რაოდენს შავქვას მოაგროვებს მრეწველი და ანგარიშში არ შეჰყავს ის, რომ ნაწილი ქვისა აქედგან უცხოეთში მიდის.

ფირცხალავა ს. ზდანოვიჩი და სოლოვიოვი გვირჩევენ ბაქნების გადიდებას, ის-კი სასარგებლო არ იქნება მრეწველთათვის. გადიდება-კი არ არის საჭირო, რიგიანად და სამართლიანად უნდა გარიგდეს ბაქნები.

ზდანოვიჩი (მიმართავს კრებას) ბ-ნი ფირცხალავა გირჩევთ, რომ ბაქნებს მომატება არ უნდათ: მართლა არ გინდათ? ნუ ვიშუამდგომლებთ?

ხმები: არა, არა! გვინდა! გვინდა!

თავმჯდომარე. ქვარიანსა და სხვებს შენიშნავს, რომ ურიგოდ ლაპარაკობენ და იქცევიან.

ზდანოვიჩი გ. ფ. ქვარიანს მივუტევებ, რადგანაც არა იცის, რას შვრება.

—

თორმეტ აგვისტოს გათავდა კრება შავი-ქვის მრეწველთა. ამ დღეს მოხდა ვაგონთა დამნიშვნელ კომიტეტის წევრთა არჩევანი; ამორჩეულ იქმნენ: ჯიბრაილ იაშვილი, კალ. ქლენტი და კარპე მოდებაძე; ამათ კანდიდატებად: ილ. კაკაბაძე და ილ. ქადაგიძე.

სარევიზიო კომისიის წევრებად ამოირჩიეს: პ. შუტცი, ო. ტურკიანც და ჰასველდი; ამათ კანდიდატებად: მიხ. საყვარელიძე და ვართანიანცი.

# უცხოეთი

—

**ჩინეთი.** ჩინეთის ჯარის დამარცხებასა და პეკინის აღებას სამხრეთ პროვინციების მანდარინები ძალიან შეუშინებია. როგორც ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ, ამ მანდარინებს ქალაქებსა და სოფლებში განცხადებანი გაუკრავთ, რომლებშიაც, აცნობებენ რა ხალხს პეკინის აღებასა, ამბობენ, რომ ეს სამართლიანი სასჯელია იმ მოხელეებისა, რომელთაც ჩინეთი განსაცდელში ჩააგდესო. ამასთან მანდარინები ურჩევენ ხალხს, წყნარად მოიქცნენ და უცხო-ქვეყნელებს არაფერი ავნონ.

— როგორც ეხლა შეუტყვიათ პეკინში მეოთხ ჯარის უფროსებს, გერმანიის ელჩს კეტტელერს ჩინელები უკანიდგან მიჰპარვიან და ისე მოუკლავთ. ამასთან კეტტელერი ტახტრევანდში მჯდარა თურმე და არა ცხენით მისდიოდა, როგორც წინად ეგონათ. ელჩს თან ოცი ზღვაოსანი მისდევდა. ეს ზღვაოსანნი ელჩის მოკვლის შემდეგ მეუნ-ლი-იამენის ეზოში შეაფარდნიან. ორი ზარბაზანი წაუღიათ იქიდგან და თათრების უბნის გალავნის ერთ კარებთან გამაგრებულან. მოკავშირეთა ჯარის შესვლამდე ეს ოცი კაცი ამ კარებს არ გაჰშორებია და ყოველთვის მიმაცად იგერიებდა თურმე ზედ მოსულ უთვალავ ჩინელებს. კეტტელერის გვამი, მოკავშირეთა უფროსების განკარგულებით, ამოუღიათ მიწიდგან და მთელის ჯარის თანადასწრებით დაუსაფლავებიათ.

— გაზეთი „Times"-ის შანხაელი კორესპონდენტი სწერს: „ლიხუნგ-ჩანგის და რუსეთის მთავრობის შორის თითქმის გადაწყვეტილი მოლაპარაკებაა ჩინეთის საქმეების გამო. როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყე, რუსეთი თხოულობს, რომ მანჯურიის შესახებ ცალკე გაიმართოს მოლაპარაკება, მხოლოდ ჩინეთსა და რუსეთს შორის; სხვა სახელმწიფონი მანჯურიის საქმეში არ უნდა ჩაერიონო". თვით რუსეთის გაზეთებმაც მანჯურიის შესახებ ლაპარაკს ამ ბოლოს დროს ძალიან მოუხშირეს. თითქმის ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ თუ სულ არა, მანჯურიის ერთი ნაწილი მაინც რუსეთს უნდა შეუერთდესო. ამ გაზეთების აზრით, სახელმწიფოთა მიერ გამოთქმული სურვილი, რომ ჩინეთს არც ერთი ნაჭერი მიწა არ უნდა მოაკლდესო, მანჯურიას არ შეეხება. არ უნდა მოაკლდეს ჩინეთს მიწა-ადგილი იქ, სადაც მოკავშირენი მოქმედებენ, ე. ი. საშუალო და სამხრეთ ჩინეთში. მანჯურიაში-კი ჩინეთს ერთად-ერთი რუსეთი ებრძვის, ამიტომ ამ სახელმწიფოს სრული უფლება აქვს არ დაემორჩილოს სხვათა სურვილს და ისე მოიქცეს, როგორც თვითონ სცნობს საჭიროდაო.

— მანჯურიაში რუსეთის ჯარი თან და თან წინ მიდის. ისე აღარ გაივა, რომ რუსეთის რომელიმე რაზმმა არ გაიმარჯვოს იქ. რუსეთის ჯარი მანჯურიაში სამის მხრიდგან შევიდა: ჩრდილოეთიდგან, აღმოსავლეთიდგან და სამხრეთიდგან, სამივე მხრიდგან რამდენიმე რაზმი მოქმედებს. როგორც მთავარ შტაბის ცნობებიდგანა სჩანს, ჩრდილოეთით სამი რაზმი მოქმედებს —გენერლების ორლოვისა, რენენკამფისა და სახაროვისა. სამივენი სხვა და სხვა მხრიდგან პროვინციის მთავარ ქალაქ ციციკარისაკენ მიდიან. აღმოსავლეთიდგან შესული ჯარიც სამის რაზმისაგან შესდგება. ამ რაზმებს კიდევ მთავარ მიზნად გირინის პროვინციის დიდი ქალაქების—გირინისა და ნინგუტის აღება აქვთ. დასასრულ სამხრეთის რაზმები მანჯურიის მესამე პროვინციის მთავარ ქალაქის მუკდენისაკენ მიეშურებიან. ამ რიგად ამ სამის მხრიდგან შესულმა რაზმებმა ახლო მომავალში მთელი მანჯურია უნდა დაიჭირონ. მანჯურიას მეტად დიდი ადგილი უჭირავს და შეიცავს 12—15 მილიონ მცხოვრებს.

## სამკურნალო ლექსიკონის მასალად

(დასასრული *)

სარსამი—ერთგვარი ჭკუის შეშლაა.

საჯი—თვალთმაქცობა, საჭმლის მოუნელებლობა.

სილი (არაბულია)—ხმელი ხველა. იხ. ხარბუხა.

სუდა—ზევრი წლის სმა, ჭეურტი (?).

სუსანდარა — „სამხურვალით რომ სისხლზედ იყავდეს", სისხა—Кровавый поносъ.

ტატბერი—ბებია, მოურავი. Акушерка, акушеръ. კარაბადინში არ არის მოხსენებული, მარტო ქალს ჰქვიან ტატბერი, თუ კაცსაც. მგონი ორივეს უნდა ჰქონებოდეს, რადგანაც, როდესაც ქალს შობა გაუჭირდებოდა მწყემსებს იწვევდნენ საშველად უწინ და ეხლაც იწვევენ საქართველოში.

ფაა—ასოა ადამიანისა. Органъ человѣка.

ფასლი (არაბულია)—დრონი წლისა. Время года.

ფაწალა—ტყირში. Завалъ.

ფალენჯი, ფალენჯის ქარი—სენი დამბლისა (საბა). Параличъ, или сведенiе *),

ფირხალა—თეთრი თვალში. Бѣльмо **).

ყიფალი, აქალი, ბასილიყო—სამი სისხლის გამოსაშვები ძარღვი ხელში. Vena caephalica, vena mediana, vena basilica.

შაფქური—ავური. Куриная слѣпота ***).

ცხრო, სუნახოსი— ციებ-ცხელება და ყოველ ნაირი ცხელება. Лихорадка, малярія, жаръ, горячка.

ცხამი, ცხამიანი საჭმელი. ყოველნაირი ქონი და ზეთეულობა, მსუქანი ანუ ზეთიანი საჭმელი.

ძარი—ქარები. Ревматизмъ *).

წალა—მდინარობა ხორცთგან. Сукровица водянистая, гнойная, или кровянистая.

წილხარტი—ხელებსა და ფეხებზე რომ ბიბინს დაუვლის და ექავება **). Мокнущая, зудящая экзема рукъ и ногъ.

ხარბუხა—ძნელი ხველება (საბა).

ხალთი, ქილუსი—მონელებული წვენი. Млечный сокъ—Chylus. საჭმელი რომ მონელდება, ჯერ ქილუსად იქცევა, მერე ხილთად. ხილთი ძარღვებში გადის, სისხლს ერევა, სისხლად იქცევა და სისხლი სხეულს ასაზრდოებს.

ხორბა—ხმელი ქავილი.

ხვამიადი—„საქმე დაფარული სახორცელთა". Врачебная тайна.

ხუნდი—მტრედის ზარტყი.

ჯუფთი—თორის ტვინის ძარღვი. Нервъ.

საბას ლექსიკონში ჯუფთი—გამხმარი ორაგულის ხორცია.

ჭაისი, ხუთი ჭაისი—სმენა, მხედველობა, ყნოსვა, გემოვნება და შეხებითი გრძნობა. Пять органовъ чувствъ.

უმეტესი ნაწილი ამ სიტყვებისა სხვათა ენათგან უნდა იყოს გადმოღებული, უფრო არაბულიდგან. რადგანაც ეს სიტყვები ყოფილა მიღებული ძველ სამკურნალო მწერლობაში, ეხლაც უნდა ვისმაროთ ჩვენის აზრით იქ, სადაც უფრო გასაგები და უფრო შესაფერისი სახელები არ გვაქვს.

კარაბადინებიდგან ამოვწერე კიდევ წამლების სახელები. მათ გასწორებამი მინდოდა მენახა შემდეგი ლექსიკონები: 1) ზუნების ლექსიკონი, 2) ლექსიკონი მცენარეთა და მარტყვეთა პიტრო ფიდიპესი, 3) არაბული და ლათინური ლექსიკონი ფრეიტაგისა. ვინ იცის, სად არის და ვის აქვნება ეს ლექსიკონები?

ა. იაშვილი.

*) იხ. „ივერია", № 173.

*) კრუნჩხვა. რედ.

**) ბისტი. რედ.

***) ბინდი. რედ.

*) ანუ მტეხიერობა. რედ.

**) წილხარტი თვალის ქუთუთოებზედაც იცის—წამწამს გააყრევინებს ხოლმე. რედ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

ვინ არ იცის, რამდენი უბედურება მოსდევს რკინის გზებზედ მატარებლების დაჯახებას. ასეთი დაჯახება ისე როგორ ჩაივლის, რომ რამდენიმე კაცი მაინც არ იმსხვერპლოს. ფრანგ ინჟინერს ბერლიოს გამოუგონია განსაკუთრებული მანქანა, რომლის შემწეობითაც ადვილად შეიძლება თურმე ასეთ უბედურების თავიდგან აცდენა. ეს მანქანა წინა და უკანა ვაგონებს უნდა გაუკეთდეს. თუ მატარებელი რამე მიზეზისა გამო შუა გზაში შეჩერდება, საკმაოა ამ მანქანების მომართვა, იგი 500 მეტრის მანძილზედ გააგებინებს გაჩერებას ამ ლიანდაგზედვე მომავალს სხვა მატარებელს. ეს მანქანა ინჟინერს ბერლიოს ამ რამდენისამე წლის წინად გამოუგონია, მაგრამ რკინის გზათა გამგეობას ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ ეხლა, რომსა და ფლორენციას შუა მომხდარ უბედურობის შემდეგ, განიზრახეს ამ მანქანის შემოღება.

* * *

ჟურნალ-გაზეთები ისე არსად არ არის გავრცელებული, როგორც ამერიკაში. ამ საუკუნის დასაწყისს შეერთებულ შტატებში სულ 200 დრო-გამოშვებით გამოცემა იბეჭდებოდა. თითო გამოცემა მაშინ 26,450 მცხოვრებზედ მოდიოდა. ამ ჟამადკი იქ 26,000 გაზეთი იბეჭდება და თითო გაზეთი ეხლა 3500 მცხოვრებზედ მოდის. ამ საუკუნის დასაწყისს არც სასტამბო საქმე იყო კარგად მოწყობილი. საუკეთესო სტამბა დღეში 800 ცალს გაზეთ ძლივს წვალებით ჰბეჭდავდა. ახალის მსწრაფლ მბეჭდავის მანქანეზის გამოგონებამ ძირიანად შესცვალა სასტამბო საქმე. ამ მანქანებმაც თავისი გავლენა იქონიეს ჟურნალისტიკაზედ. საყურადღებოა, რომ ამ საუკუნის მეორმოცე წლებამდე ამერიკულ გაზეთებში არ იბეჭდებოდა არაფერი არც პოლიტიკისა, არც თეატრისა და არც სასამართლოს შესახებ. ფელეტონსაც ვერ შეჰხვდებოდით მაშინდელ ამერიკულ გაზეთში. მთელ შინაარს გაზეთისას უბრალო ახალი ამბები და სხვა და სხვა ანგარიშები შეადგენდა. ყველაზედ დიდი ადგილი მაშინდელ გაზეთში ევროპიდგან ამერიკაში მისულთა და ამერიკიდგან ევროპაში წასულთა სიას ეჭირა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 12 აგვისტოს ჩიტიში მივიდა დედოფალ იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობის წითელის ჯვრის რაზმი, რომელიც შესდგება რწმუნებულის რაევისა, სამის მკურნალისა და 24 მოწყალების დათაგან, ამათგან ექვსი ჩიტის ლაზარეთში რჩება, ხოლო დანარჩენნი ხაილარის რაზმში მიდიან.

—მონგოლებმა კარგად მიიღეს გენერალის ორლოვის რაზმი. რაზმს ისინი სურსათს უსასყიდლოდ აძლევენ.

ნიუ-ჩაუნში სამოქალაქო საქმეების მმართველ-გამგეობა დროებით რუსეთის ელჩს დაევალა.

**პეკინი.** დღეს რეკოგნოსციროვკა მოახდინეს. იუწყებიან, რომ შეიარაღებულნი ჩინელნი სძარცვავენ მცხოვრებთ სამხრეთ-დასავლეთით, ბენგალიის ულანებმა აღმოაჩინეს პეკინის სამხრეთ-დასავლეთით ოთხის მილის მანძილზედ ჩინელთა ჯარი კარგს გამაგრებულს ადგილზედ.

**ტიან-ძინი.** 1000 კაცისაგან შემდგარი რაზმი რუსებისა, ნემეცებისა და იაპონელებისა პეკინიდგან გავიდა. როგორც ამბობენ, რაზმს აზ-

რადა აქვს ქვრივ იმპერატრიცას და-ცდევნოს.

**ჰონკონგი.** კვანდუნისა და სხვა ოლქების გუბერნატორებმა ქვრივ იმპერატრიცისაგან მიიღეს დეპეშით ბრძანება, გაიღონ 300,000 ტაელი ჯარის შესანახად.

**შანხაი.** ამ ახლო ხანში ხანკოუ-ში ადგილობრივ ჩინელთა შორის შეთქმულობა აღმოჩნდა; მოძრაობა უცხოელთა წინააღმდეგ არ იყო დაწყებული და ნამდვილის რევოლიუციონურის ხასიათისა იყო.

იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრისაგან ლიხუნგ-ჩანგმა დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოლაპარაკება შეუძლებელია იმ დრომდის, ვიდრე ჩინეთი რწმუნებულებს არ დანიშნავს, რომელნიც სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონო. მინისტრი ამბობს გარდა ამისა, რომ ნანკინისა და ვუჩანის მეფის მოადგილეთ ლიხუნგ-ჩანგის ასსისტენტებად მიიღებენო სახელმწიფოები; დასასრულ, ამბობს მინისტრი, საჭიროა უთუოდ, რომ ჩინეთმა თავისი დანაშაულობა აღიაროს და თავისისავე ნებით იკისროს ყოველგვარ ზარალის აზღვაო. თუ რომ ჩინეთი ამ რჩევას მიიღებს, მაშინ, იაპონია მზაა მოლაპარაკების დროს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ჩინეთსაო.

**ბერლინი.** ტოკიოდგან იუწყებიან იაპონელთაგან გაგონილს: იაპონიის ჯარების უფროსი პეკინიდგან დეპეშით იცნობება 5 აგვისტოს, რომ ქალაქი სრულიად გაწმენდილია მტრისაგან. იაპონიის ცხენოსანი რაზმი, მანსანში გაგზავნილი, იუწყება, რომ საიმპერატორო გვარეულობამ, დასტოვა რა 1 აგვისტოს პეკინი, მანსაიში მცირეოდენ დასვენების შემდეგ, წარემართა დასავლეთისაკენ. უკან მისდევდა გენერალი მა თავისის ჯარით, რომელიც სულ 500 ცხენოსანისა და 20 ურმისაგან შესდგება.

**ტაკუ.** პეკინში სდგება რაზმი დაჭრილთა, დედაკაცთა და ბავშვთა მისაცილებლად პეკინიდგან ტიან ძინში. იტალიის ელჩის სახლობაც შეუერთდება ამ რაზმს, რომ იაპონიაში წავიდეს. იტალიის ჯარს პოლკოვნიკის გარიონის უფროსობით გონკონგიდგან პეკინში მოელიან.

15 აგვისტო

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომ სახელმწიფო სამრეწველო გადასახადის შესახები დებულება შეცვლილ და დამტკიცებულ იქმნას.

უმაღლესად ნაბრძანებია შესდგეს 9 ახალი ბატარეია და ეს ბატარეიები იმ ოთხ არმიის კორპუსის შორის იქმნენ განაწილებულნი, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში სამოქმედოდ არიან დანიშნული.

**ბელგრადი.** მინისტრად ნამყოფი იოვან-დიაია დაინიშნა სადიპლომატო აგენტად სოფიაში ივანე პავლოვიჩის მაგიერ, რომელიც დათხოვნილ იქმნა.

**სტოკჰოლმი.** როდესაც ანდრეს ბუი გახსნეს, შიგ არაფერი აღმოჩნდა.

**ამსტერდამი.** როგორც გაზეთებიდგან იუწყებიან, სახელმწიფოთა წარმომადგენელნი საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს მთავარ მდივნად ასახელებენ სენატორს ბარონს მელვილ-ვან-ლინდენს.

**ლონდონი.** გლასგოუდგან იუწყებიან, რომ ერთის ოჯახის წევრი (ეს ოჯახი მამისა, დედისა და ბავშვისაგან შესდგება) ადგილობრივ მკურნალების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიანო. მათი ავადმყოფობა შავ ჭირად იქმნა ცნობილიო.

**შანხაი.** უცხო-სახელმწიფოთა ელჩებმა არ მოიწონეს ის წინადადება, რომ პეკინის განთავისუფლების გამო შანხაიში ჩირაღდანი გაიმართოს. ელჩებმა შეატყობინეს ქალაქის თვით-მმართველობას, რომ ამ ჩირაღდანში მონაწილეობას არ მივიღებთო. ხმა დადის, რომ იანცეში ინგლისელები მოქმედებას შეუდგნენო.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პოლკოვნიკის რინდლეის განსათავისუფლებლად დაწყობილ მოქმედების შესახებ. რინდლეის, რომელსაც 250 ცხენოსანი და 25 ქვეითა ჯარის-კაცი ჰყავნდა, ვინბურგთან ათასი ბური შემოერტყა. რინდლეიმ 30 კაცზე მეტი დაჰკარგა.

რენდლი იუწყება, რომ გარისმიტში 169 ბური დაგვმორჩილდაო.

**პარიჟი.** შანხაიში მყოფი საფრანგეთის ელჩი იუწყება, რომ იმპერატრიცა, იმპერატორი და პრინცი ტუანი შენსიში არიანო.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება, რომ ბურების გენერალი ოლივიე ვინბურგთან ტყვედ ჩავიგდეთო.

**მასსერუ.** სენეკალსა და ბეთლემთან ბურების მცირე რაზმები გაჩნდნენ. სულ იქ სამი რაზმია.

იმ ხიდთან, რომელიც სოლსბიურიდგან 13 საათის სავალზეა, გადავარდა მატარებელი. სამი კაცი დაიღუპა.

**ლონდონი.** როგორც მატოუდგან 7 აგვისტოს იუწყებიან, ძლიერდება ჩინელთა შორის უკმაყოფილება „დიდის მუშტის“ მიმართ: სოფლელნი თავს ესხმიან „დიდის მუშტის“ მომხრეებს და ჰხოცავენ მათაო.

14 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და ხელმწიფე მემკვიდრე პეტერგოფიდან პეტერბურგში წაბრძანდნენ, სადაც თაყვანი სცეს რა იმპერატორის ალექსანდრე III-ს საფლავს, უკან პეტერგოფშივე დაბრუნდნენ.

**პარიჟი.** 11 აგვისტოს ტაკუში გადასხეს 2,000 საფრანგეთის ჯარისკაცი.

**კაპშტადტი.** ბელფასტ-დალმანუტის მახლობლად ჯერ კიდევ ბრძოლაა. ბულლერმა აიღო ბერგენდალი, დალმანუტის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე ძლიერი პოზიცია ბურებისა.

**ლონდონი.** 14 აგვისტოს პრეტორიიდგან იუწყებიან, რომ, როგორც ისმის გენერალი ბოტასთან ბრძოლაში მტრის ჯარი გარდვეულ იქმნა; მტერმა დაიწია; ინგლისელებმ შესამჩნევი ზარალი მოუვიდად.

**ვაშინგტონი.** შეერთებულს შტატებს არც ერთს სახელმწიფოსთვის არ მიუმართავს და წინადადება არ მიუცია იმისა, რომ კონფერენცია იქმნას მოწვეული ჩინეთის საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად და არც თვითონ მიუღია ვისგანმე ასეთი წინადადება.

**ჰონკონგი.** იაპონიის გენერალი გოტო ფორმოზიდგან ამოიში მოვიდა თავისის შტაბით. იაპონიის ჯარი უცხო-ქვეყნელთა ახალშენებს იცავს; ზარბაზნები ისეთ ადგილზედ დასდგეს, რომელიც ქალაქს დაჰყურებს. ჩინელები ქალაქიდგან გადიან.

**ლონდონი.** გლასგოში გაჩენილ შავის ჭირის გამო იუწყებიან, რომ საქმე იმაზედ უფრო სერიოზულია, ვიდრე წინად ჰფიქრობდნენო. აღმოჩნდა, რომ სხვებიც გამხდარან შავის ჭირით ავად; ამასთან ორი გარდაცვლილა; ორმოცი ოჯახი განაშორეს მცხოვრებთ. მათ მკურნალები ადევნებენ თვალ-ყურს.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება ბელფოსტიდგან 14 აგვისტოს: „ჩვენ ნელ-ნელა მივიწევთ წინ, რადგანაც დიდ ადგილზედ გვიხდება ბრძოლა და ნიადაგიც ვერ გვიწყობს ხელს. მიუხედავად ამისა საქმე კარგად მიდის. ბულლერის ჯარმა ბერგენდალი დაიჭირა, მეტად ძლიერი პოზიცია. ბულლერი მე ბერგენდალთან დავტოვე. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ზარალი 50 კაცს არ აღემატება; ზარალი მოსალოდნელზედ ნაკლებია, რადგანაც პოზიციის აღების დროს გაშლილ მინდორზედ მოუხდა ჯარს გავლა. მტერი თავგანწირვით იბრძოდა. ბევრი ბური დაიღუპა, განსაკუთრებით ისინი, რომელნიც გორაკზედ იდგნენ. მტერს წავართვით ერთი ზარბაზანი. გამარჯვება სანაქებო იყო. ბულლერი ხელოვნურად ჰსარდლობდა. არტილლერიისა და ქვეითა ჯარის სროლა შესანიშნავი ძლიერი იყო. მარცხენა მხარეზედ ფრენჩი ლიდენბურგს მიმავალ გზაზედ სვარტის გორაკებამდე მივიდა და ამ რიგად სახვალიოდ პოლკერიუს დივიზიას გზა გაუნთავისუფლა, რენდლი იუწყება, რომ გუშინ ბრანდვეტერთან მტრის ჯარების დაზვერვის დროს ერთი აფიცერი მოგვიკლეს და ერთიც დაგვიჭრესო; ხელში 700 სული საქონელი ჩაგვივარდაო. ბადენ-პოუელი იუწყება, რომ ნილსტრომამდე მივედი და არავითარი წინააღმდეგობა არ შემემთხვა, დავიჭირე ადგილი, რომელიც ხშირი ჯაგნარით არის დაფარული: აქ პეჯეტთან ერთად ვმოქმედებდით; რადგანაც ჯერ-ჯერობით საჭირო არ იყო, რომ მათი ჯარები უფრო ზევით წასულიყო, ჩრდილოეთისაკენ, ამის გამო ჯარები პრეტორიაში დაბრუნდება“.

**ჰონკონგი.** კანტონში მშვიდობიანობაა.

---

**წერილი რედაქციის მიმართ**

ულრმეს მადლობას უცხადებ ქუთაისის სამოქალაქო სკოლაში მოსწავლეს ბ-ნ კოსტა ხულორდავას, რომელმაც კეთილ ინება და ჩვენდამი რწმუნებულს სალხინოს სკოლასა და წიგნთ-საცავს 12 ცალი ქართული წიგნი შემოსწირა.

ამასთანავე მივმართავთ პატივცემულს საზოგადოებას თხოვნით, რომ კეთილ-ინებონ, და სალხინოს სამრევლო სკოლას და მასშივე მოთავსებულს უფასო სამკითხველოს შეძლებისა დაგვარი შემწეობა აღმოუჩინონ. შემოწირულება მიიღება შემდეგი ადრესით:

Черезъ Хони. Въ Сальхинское сельское управленіе, учителю георгію Цивцивадзе.

წიგნთ-საცავის გამგენი მღვდელი რომანოზ გაგუა, მასწავლებელი გიორგი წივწივაძე და მზრუნველი თედორე სულიხია

---


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობამდე მოაღწია ცნობამ,

რომ ვიღაც უცნობი კაცები ეუბნებიან იმათ, ვისაც ლოტკის-გორასა და „ნაძალადევში“ იჯარით ადგილების აღება ჰსურთ, თუ ფულს მოგვცემთ, ვეცდებით და გამგეობისაგან იჯარით ავიღებთ თქვენთვის მიწასაო.. რათა ბოლო მოეღოს გულუბრყვილო ხალხის ამ გვარ ექსპლოატაციას, გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ „ნაძალადევის“ ადგილები არ გაიცემა იჯარით, სანამ არ იქმნება შედგენილი მისი საზოგადო გეგმა; ხოლო რაც შეეხება ლოტკის გორას, იქ ადგილები გაიცემა იჯარით საბჭოს მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ წესების თანახმად.

ვისაც ჰსურს, იჯარით აიღოს ლოტკის-გორაში ადგილები, თუ იგი წარმოადგენს ყველა იმ საბუთებს, რომელიც საბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული, შეუძლიან უშუამდგომლოდ მიჰმართოს თხოვნით ქალაქის გამგეობასა და მიიღოს იჯარა. (3—6.—1)





## რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით
# ნიუ-იორკის
## საზოგ დოებაში სიცოცხლის დაზღვევას?

ის, რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

ის, რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება საურთი-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

ის, რომ „ნიუ-იორკს“ სამაგალითო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის სათვინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

ის, რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმნება შეტანილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

ის, რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ [illegible]

ის, რომ თუ პოლისი [illegible] ექნება სამი წლის განმავლობაში [illegible] 6%-საგან.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება [illegible] სხვასაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

ის, რომ „ნიუ იორკის“ საზოგადოებას სამუდამო წინადად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საზღვრული ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი შენახულის ფულისა „ნიუ-იორკის“ საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, [illegible]

ის, რომ [illegible] „ნიუ-იორკის“ საზოგადოების [illegible]

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება [illegible]

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში ვ. ვ. მელლერი.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტის კორპუსის პირდაპირ)

(12-50-12)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე